ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 3

22 ნოემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; თემურ გიორგაძე; ლევან ჯაფარიძე; დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე; ირაკლი ნადირაძე; გიორგი გაბაშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- სოსო ქარცივაძე.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე -მალხაზ ჭამპურიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

1. „საქართველოს დედაქალაქის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით

„ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ JEC Fund“-ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

დღის წერიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: „საქართველოს დედაქალაქის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით“რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი- მალხაზ ჭამპურიძე.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ამ დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოფს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას – 0,5 ლარი, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ გადაყვანისას – 2,5 ლარი და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ გადაყვანისას – 1,0 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურებას. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, თანხების ანაზღაურება შეეძლება სატრანსპორტო კომპანიას საკუთარი შემოსავლებიდან.

კომისიის დასმწრე წევრთა გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ JEC Fund“-ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი - სოსო ქარცივაძე

მომხსენებლის თქმით, გრანტის მიღების მიზანია, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე იაპონური ბაღის მოწყობისთვის გაწეული ხარჯების ანაზრაურება. საგრანტო თანხა შეადგენს 5 600 000 იენს.
შეკითხვაზე, მომხსენებელმა დააზუსტა, რომ ბაღი მოწყობილია და ხარჯები გაწეულია, რაც შეეხება გრანტს, გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ.
კომისიის დასმწრე წევრთა გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ მოკლედ ისაუბრა 2018 წლის ბიუეჯტის პროექტის პარამეტრების შესახებ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით, 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 815 210,1 ათასი ლარით. ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე მუხლით გათვალისწინებული დანართები. ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 763 710,0 ათასი ლარით, ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 587 348,4 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების ცვლილება - 87 195,9 ათას ლარს, ფინანსური აქტივების ცვლილება 83 004,1 ათასი ლარს, ხოლო ვალდებულებების ცვლილება 6 161,6 ათასი ლარს, რაც მთლიანად ვალდებულელების კლებაა. ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენს 763 710,1 ათასი ლარს,

ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 815 210,1 ათას ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - გათვალისწინებულია 125 141.8 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - გათვალისწინებულია 153 819.8 ათასი ლარი.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - განსაზღრულია 85 089.3 ათასი ლარით.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - პრიორიტეტში გათვალისწინებულია 7 655,0 ათასი ლარი,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტში გათვალისწინებულია 29 826,6 ათასი ლარი,

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2018 წლის ბიუჯეტის

პროექტში გათვალისწინებულია 191 112,8 ათასი ლარი, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 23,4 %-ია. პრიორიტეტში ჯანდაცვისათვის გათვალისწინებულია 44 364,0 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვაზე 146 748,8 ათასი ლარი.

განათლება - პრიორიტეტი 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 168,9 ათასი ლარით და შეადგენს 117 150,1 ათას ლარს,

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება გათვალისწინებულია 3 158,3 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები შეადგენს 75 124,6 ათასი ლარს.

ბიუჯეტის 2018 წლის პროექტის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ჰქონდათ: ირაკლი ნადირაძეს, გიორგი გაბაშვილს, ლევან არველაძეს;დავით უთმელიძეს.

მათ შეკითხვებზე პასუხები გაეცათ გაიოზ თალაკვაძის მიერ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ ირაკლი ზარქუამ, კომისიის წევრებს გააცნო კომისიებისა და ფრაქციების ის ძირითადი შენიშვნები და წინადადებები, რომელიც წარმოდგენილი იყო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში. ასევე აღნიშნა, რომ ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალურო მოძრაობა", თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები გადააგზავნა ქალაქ თბილისის მერთან.

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სრულყოფილად არ ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც საზოგადოებამ დაუჭირა მხარი და კენჭისყრაზე დააყენა წინადადება: წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებთან ერთად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მერიას.

კომისიის ყველა დამსწრე წევრმა მხარი დაუჭირა წინადადებას და გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებთან ერთად

გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მერიას. რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა